

საქართველოს კანონი

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 9, 26.04.2002, მუხ.43) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია ახორციელებს შემდეგი სახის რეგისტრაციას:

ა) საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემის რეგისტრაცია (ყოველწლიური მოსაკრებელი) – 80 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხას ლარში დამატებული;

გემის საერთო ტევადობა

საფასური საერთო ტევადობის 1 ერთეულზე

(GRT–ბრუტო (მოცულობითი) რეგისტრული ტონა)

<=500 (GRT)	1.7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
501–5000 (GRT)	0.38 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
5001–10000 (GRT)	0.22 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
10001–50000 (GRT)	0.13 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
>=50000 (GRT)	0.07 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
იახტები და კატარღები (სანაპირო ნაოსნობის)	250 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში
იახტები და კატარღები (საოკეანო ნაოსნობის)	500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში

ბ) სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხომალდის რეგისტრაცია:

ბ.ა) ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის (750 კგ-მდე ასაფრენი მასით) და ვერტმფრენის რეგისტრაცია – 500 ლარი;

ბ.ბ) მსუბუქი საჰაერო ხომალდის (750 კგ-დან 5700 კგ-ის ჩათვლით ასაფრენი მასით) რეგისტრაცია – 1000 ლარი;

ბ.გ) მძიმე საჰაერო ხომალდის (5700 კგ-ზე მეტი ასაფრენი მასით) რეგისტრაცია – 1500 ლარი;

ბ.დ) ამ ქვეპუნქტის „ბ.ა“-„ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჰაერო ხომალდის (ვერტმფრენის) რეგისტრაციის შემდეგ, მასზე ყოველწლიურად საჰაერო ხომალდის საფრენად ვარგისობის მოწმობის გაცემის საფასური – 500 ლარი.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის პირველი იანვრიდან.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი